ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე, რუსთაველის ქუჩაზე, ერეკლე II–ის ქუჩაზე და სოფელ თამარისში არსებული საბავშვო ბაღების შენობების სარემონტო /სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვა.

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №2

ქ. მარნეული 20.06.2013 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ვანო ბურნაძე - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე –კომისიის თავმჯდომარე;

მალხაზ სამაშვილი -მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

დავით ხარშილაძე -ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი– კომისიის წევრი;

ლერი ფანგანი – ინფრასტრუქტურის განვითრების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტირისა და მშენებლობის სამსახური – კომისიის წევრი;

ვუგარ მამედოვი -საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი– კომისიის წევრი;

ნინო დეკანოიძე – იურიდიული სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი

დღის წესრიგი:

ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე, რუსთაველის ქუჩაზე, ერეკლე II–ის ქუჩაზე და სოფელ თამარისში არსებული საბავშვო ბაღების შენობების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების საკონკურსო განცხადება განთავსდა 18-06-2013 წელს 14:57 საათზე, საკონკურსო წინადადების მიღების ბოლო ვადად მითითებული იყო 20.06.2013 წ. 12:00 სთ.

აღნიშნული დროისათვის საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა: შპს „არიში" – 2980 ლარი დ.ღ.გ–ს გარეშე და ი.მ „ნანა ახვლედიანი" – 2057 ლარი, დ.ღ.გ–ს გარეშე. საკონკურსო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი კონკურსანტების საკონკურსო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ კონკურსში უმცირესი ფასი წარმოადგინა ი/მ „ნანა ახვლედიანმა" და აქედან გამომდინარე კომისია სრული შემდგენლობით თვლის, რომ უპირატესობა მიენიჭოს ამ უმცირესი ფასის მქონე კონკურსანტს. საკონკურსო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი უმცირესი ფასის მქონე კონკურსანტის საკონკურსო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ მთლიანობაში საკონკურსო დოკუმენტაცია და წარმოდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

კომისიამ იხელმძღვანელა, რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით", დაადგინა.

1. დაევალოს საკონკურსო აპარატის წევრს ზანდა კვანჭიანს გაუგზავნოს შეტყობინება გამარჯვებულ კონკურსანტს და მოიწვიოს ხელშეკრულების გასაფორმებლად.

კომისიის თავმჯდომარე ვანო ბურნაძე

კომისიის წევრები მალხაზ სამაშვილი

დავით ხარშილაძე

ლერი ფანგანი

ვუგარ მამედოვი

ნინო დეკანოიძე